



შპს FERRUM
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს FERRUM
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
საპუტარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება.....	8
4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები.....	8
5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	8
6. მარაგები.....	9
7. კაპიტალი.....	9
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	9
9. სხვა ვალდებულებები.....	9
10. ამონაგები.....	10
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	10
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	10
13. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან.....	10
14. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.....	11
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	11



შპს FERRUM

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ძარბაზის ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წ

2022 წ

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	3	1,172,785	786,060
----------------------	---	-----------	---------

სულ გრძელვადიანი აქტივები		1,172,785	786,060
----------------------------------	--	------------------	----------------

მოკლევადიანი აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	4	670,877	444,351
-----------------------------	---	---------	---------

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	4,411,498	358,788
---	---	-----------	---------

მარაგები	6	-	-
----------	---	---	---

სულ მოკლევადიანი აქტივები		5,082,375	803,139
----------------------------------	--	------------------	----------------

მთლიანი აქტივები		6,255,160	1,589,199
-------------------------	--	------------------	------------------

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		2,927,866	915,956
---------------------------------------	--	-----------	---------

სულ კაპიტალი	7	2,927,866	915,956
---------------------	---	------------------	----------------

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	2,749,962	155,192
--	---	-----------	---------

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
------------------------------------	--	---	---

სხვა ვალდებულებები	9	577,332	518,051
--------------------	---	---------	---------

3

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
------------------------------------	--	---	---

სულ ვალდებულებები		3,327,294	673,243
--------------------------	--	------------------	----------------


მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,255,160	1,589,199
---	--	------------------	------------------

Check


-

-

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 1 ოქტომბერს


დირექტორი




შთავარი ბუღალტერი

შპს FERRUM

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება


მოგება - ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	10	14,860,916	2,233,794
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(11,320,647)	(420,863)
საერთო მოგება		3,540,269	1,812,931
დასაქმებულთა ანაზღაურება		(361,984)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(209,971)	(961,018)
ცვეთა და ამორტიზაცია		-	-
სხვა ხარჯები		-	-
სულ საოპერაციო ხარჯები		(571,955)	(961,018)
საოპერაციო მოგება		2,968,314	851,913
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო			
ოპერაციებიდან:	13		-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		2,968,314	851,913
განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადი			-

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 1 ოქტომბერს


დირექტორი




მთავარი ბუღალტერი

შპს FERRUM

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(პარტულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის	-	-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	915,956
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	2,233,794	2,233,794
გადახდილი დივიდენდები		-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	3,149,750
კაპიტალის ზრდა/შემცირება	2,927,866	2,927,866
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	14,860,916	14,860,916
გადახდილი დივიდენდები	40,448	40,448
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	20,978,980

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 1 ოქტომბერს



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს FERRUM

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს FERRUM დაფუძნდა 2012 წლის 30 აპრილს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით : 425357829. კომპანიას ჰყავს 1 წილის მფლობელი გულუ ახმედოვი 100% პირადი ნომრით: 10001002735. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბითუმო ვაჭრობას საბითუმო ვაჭრობა სამთომოპოვებითი, სამშენებლო და სამოქალაქო საინჟინრო მოწყობილობებით, საბითუმო ვაჭრობა ნავთობით, სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა. კომპანიაში საშუალოდ დასაქმებულთა რიცხვა 8 ადამიანი.

კომპანიის იურიდიული მისმართია: საქართველო, საქართველო, ბოლნისი, ს. ხახალაჯვარი

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით.

მის ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსური ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები.

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის



აშშ დოლარი	ევრო
2.6894	2.9752

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარა ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალება	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოძინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ
თვითღირებულება 01.01.2022	77,852	75,822				1	481,939	615,614
შემოსვლა						3,474	629,520	632,994
გასვლა		75,822						75,822
ნაშთი 31.12.2023	77,852	-	-	-	-	3,475	1,091,459	1,172,786

დაგროვილი ცვეთა

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023	-	-	-	-	-	-	-	-
წლიური ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
გასული აქტ-დაგროვითა -	-	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	-	-	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება	77,852	-	-	-	-	3,475	1,091,459	1,172,786

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	12/31/2023	12/31/2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	661	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	303,354	200,894
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	366,862	243,457
სულ	670,877	444,351



[Handwritten signature]

	12/31/2023	12/31/2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	4,411,498	358,788
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე	-	-
მომწოდებელზე გაცემული ავანსები	-	-
მისაღები პროცენტები	-	-
სულ	4,411,498	358,788

5. მარაგები

	12/31/2023	12/31/2022
საქონელი	-	-
მასალა და ნედლეული	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სულ	-	-

6.

კაპიტალი

კომპანიას აქვს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება 2 927 866 ლარი. 2023 წლის მთლიანი სრული შემოსავალია 14 860 916 ლარი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქნილი ვალდებულებები	2,749,962	155,192
მიღებული ავანსები	-	-
საპენსიო შენატანის ანგარიშსწორების ანგარიში	-	-
საპენსიოს შუალედური (ფიზ. პირის წილი)	-	-
სულ	2,749,962	155,192

8. საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	-	-
გადასახდელი დღგ	-	-
გადასახდელი ქონების გადასახადი	-	-
ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ერთიანი ანგარიში	77,379	69,096
სულ	77,379	69,096



[Handwritten signature]

9. ამონაგები

კომპანიის ამონაგები სრულად შეადგენს შემოსავალს, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია 14 860 916 ლარით.

	12/31/2023	12/31/2022
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	14,860,916	2,233,794
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან		
სულ	14,860,916	2,233,794

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-23	31-12-22
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	193,614	199,669
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე	66,142	100,623
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსები	156,983	19,000
მისაღები პროცენტები	14,612	26,457
სულ	431,351	345,749

Check

მარაგები

	31-12-23	31-12-22
საქონელი	28,621	30,402
მასალა და ნედლეული	179,090	82,888
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	2,628	-

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	12/31/2023	12/31/2022
საპენსიო შენატანის ხარჯი	(6,437)	
ელექტროენერგიის ხარჯი	-	
იჯარის ხარჯი	(11,010)	
წყლის ხარჯი	-	
ინტერნეტის ხარჯი	-	
საკონცელარიო ხარჯი	-	
სატრანსპორტო ხარჯი	(80,207)	
ცვეთის ხარჯი	(45,632)	
საბანკო ხარჯი	(5,919)	
ადმინისტრაციული ხარჯი	(22,092)	
საკონსულტაციო ხარჯი	-	
სესხის ხარჯი	(38,674)	
მომსახურების ხარჯი		
საღარიბე აპარატის მომსახურების ხარჯი	-	
სხვა		
სულ	(209,971)	-



12. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	12/31/2023	12/31/2022
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	-	-
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	-	-
სულ	-	-

13. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არ მომხდარა.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2023 წლის 1 ოქტომბერს.



A handwritten signature in blue ink, likely belonging to a member of the management or the auditor, is located to the right of the stamp.